ფასი 15 მ.

ეშმაკის მათრახი

№ 39

1920 წ.

აგვისტოს 22

გამოუსწორებელი.



— რას ჰკითხულობ ასე თავ გადადებით, მეგობარო?

მოხელე შჩედრინის ნაწერებს ამხანაგო. ამბობენ, ამ მწერალს ნაჩვენები აქვს რომელიღაც თა-ვ ს მოთხრობაში, როგორ ახერხებდენ ძველი რუსის „ჩინოვნიკები" რომ შემოსულ ქაღალდზე სამი წლის შემდეგ მაინც მიელო პასუხი მთხოვნელს.

შურისძიება.

ძნელი საქმე განვიზრახე: „წამებისა ვზიდო ჯვარი“
უნდა ვზიდო! რაგინდ მძიმე დარჩეს იგი, არ ვთქვა ვარი.
ვზიდო იმავ მოთმინებით... ვ-თ სხვა ზიდავს „ჯვარს“ მხედარი,
ნუ მომაკლებთ თანაგრძნობას... თქვენთან ეგ მაქვ სანუკვარი.



ძველად, როცა რუსთა მეფე ტახტზედ იჯდა ბედნიერი
ჰყავდა იმას ჩინოვნიკი, კაცი ფრიად ნებიერი...
ბაკენბარდით შემკობილი... სახე ტურფა, მშვენიერი
თუმცა „ვირთხას“ მეტ-სახელად უწოდებდა იმ კაცს ერი.

სამოთხეში

დილის ხუთი საათი იქნებოდა. ნამა ღმერთს სამოთხის წყაროზე პირი დაებანა, პირსახოცი მხარზე გადაეგდო და ოქროს სავარცხლით ვერცხლისფერ მშვენიერ წვერს ივარცხნიდა. შორი ახლოს მთავარ-ანგელოზი გაბრიელი იდგა, ხელში პატარა თუნგი და ბოდლოს საპონი ეჭირა.

ისეთი მშვენიერი, მომხიბვლელი ზაფხულის დილა იყო, როგორიც ყველა თქვენგანს უნახავს სამოთხეში. წყაროს მახლობლად ნორჩსა და უმანკო კრავებს მოსწოლოდა გვერდით ახალგაზდა მგელი და მშვენიერ ზღაპარს ეუბნებოდა. იქვე, ბუჩქის ძირას ქორი წიწილებს ათამაშებდა და დედის მაგივრობას უწევდა. წარმოიდგინეთ, მძინარე სომხის მუხლზე თათარს თავი მიედო და არხეინათ ჩიბუხს აბოლებდა და ეს ისეთ მივარდნილ ალაგას, სადაც მას ვერავინ ვერაფერს შეუტყობდა.

ერთი სიტყვით სამოთხე'ში ნამდვილი სამოთხისებური წესრიგი სუფევდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა მამა ღმერთი მაინც ღრმა ფიქრებს მიცემული მა შინალურად განაგრძობდა წვერების ვარცხნას.

— ბატონო, ა ბატონო! შიშითა და კრძალვის ხმით მიმართა მეუფეს მთავარ ანგელოზმა გაბრიელმა.

უზენაესს, თითქო არც გაუგონიაო, შორს მიეპყრო თვალები და თან წვერის ვარცხნას განაგრძობდა.

— მეუფეო ზეცათაო. კვლავ განიმეორა მთავარ ანგელოზმა— ისმინე ჩემი უფალო!

— რა გსურს გაბრიელ, რით გინდა შემაწხუო? ტკბილისა და სევდიანი ხმით გამოეხმაურა მამა ღმერთი, მაგრამ ისე კი, რომ მისკენ არ მიბრუნებულა.

— გულთა მხილაო, უსიამოვნო ამბავი მინდა გაუწყო.

— სთქვი, სთქვი ნუ იკრძალვი.

— ქართველებში ჩუმი ჰღელვარებაა ყოვლის შემძლებელო. ვშიშობ არაფერი შეგამთხვიონ.

— ვინ ქართველებია?

— აი ეს მოქეიფე და მოუსვენარი ხალხი რომ არის.

ვინ დასთვალოს მეცნიერმან კაცნი, მისგან განამწარი?
ცოტა რომ ვსთქვათ, იმათთაგან შესდგებოდა მთელი ჯარი
ცრემლს ადენდა უსაშველოდ... სჩქეფდა იგი ვითა ღვარი
(მასთან ერთად პახომ დიდი ქრთამის იყო ამღებარი!)



მაგრამ ქვეყნად დაბადებულს, აქვს ცხოვრების დასასრული.
იმა პახომ ივანიჩსაც დაუდგა აქ აღსასრული.
ცინკისაგან გაუკეთეს მშვენიერი კუბო, სრული;
გულზე ხელი დაუკრიფეს და შიგ ჩასდვეს ჩასუდრული.

— ვიცი, ვიცი... სოლომონ ზურგიელიძე რომ ჰყავთ...

— დიახ მეუფეო ზეცათაო, სწორეთ იმათი წარმომადგენელია ის დიდებული მგოსანი.

— მერე რა უნდათ?

— ამბობენ გვარდია დააარსეს სამოთხეში და შეაიარაღეს კიდევაც.

— რათ უნდათ გვარდია.

— აბა რა მოგახსენოთ. ვშიშობ არაფერი შემოიხვიონ თქვენს მეუფებას.

— კარგი და პატიოსანი, ჩემო გაბრიელ, მაგრამ მე რას მერჩიან, რა დამიშავებია მე მათთვის?

— არ ვიცი ყოვლად სახიერო, მაგრამ ჩუმი მითქმა მოთქმა მათ შორის არავისათვის საიდუმლოს არ შეადგენს. გვარდიაში დიდძალი ბერმარი ქართველი ჩაწერილაო.

— მერე რა უნდათ, გაბრიელ ჩემო.

— ალბათ სამოთხის აღება უნდათ. რაღაც სასამართლოც დაუარსებიათ, რომლის წინაშე უნდა წარსდგეს თქვენი მეუფება ყოვლად სახიერო.

— წარვსდგები, რატომაც არ წარვსდგები.

— მეც ეგრე ვფიქრობდი. ეგ ხალხი ახირებული ხალხი კია, მაგრამ უსამართლოდ არავის არ ეპყრობა. უკანასკნელი შიკრიკის სიტყვით საქართველოში ბალშევიკებსაც თავისუფლება აქვს მინიჭებული.

— თუ იმათ არაფერს უშავებენ, ვინც მთელ ქვეყნიერებას აჩანაგებს, მე რას მერჩიან...

ამ ლაპარაკის დროს წყაროს ირგვლივ მეომართა წრე შემოიფარგლა. ისინი ნელის ნაბიჯით მოუახლოვდენ მამა ღმერთს და მოკრძალებით თავი დაუკრეს. მოხუცი კვლავ წვერის ვარცხნას განაგრძობდა. მთავარ ანგელოზი გაბრიელი დამშვიდებით შეჰყურებდა ყოველივე ამას, ვინაიდან იცოდა, რომ აქ იერუსალიმის ბარბაროსობა არ გამეორდებოდა.

— ბრძანება გვაქვს თქვენი დატყვევებისა! წყნარათ მოახსენა მოხუცს ახალგაზრდა გვარდიელმა, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა დანარჩენთ.

— ნება თქვენი აღსრულდეს!

მამა ღმერთი და გაბრიელ მთავარ ანგელოზი რაზმმა ქართველების უბანში წაიყვანა, საგანგებო სასამართლოს წინაშე წარსადგომათ.

გზა და გზა ყველა განცვიფრებული შეჰყურებდა ამ უჩვეულო სანახაობას. ვერ გამოერკვიათ რა იყო მიზეზი ქართველების მხრივ ასეთი ძალადატანებისა. სამოთხეში როგორც ყველას მოეხენება, კატაც კი არ იჭერს თაგვს, არა თუ ადამიანებმა დატყვევონ ვინმე და ისიც მეუფე ზეცათა.

სული პახომ ივანიჩის, ზეცად იქმნა აწეული,
თუმცა ცოდვა ამძიმებდა არა ერთი ასეული.
წარსდგა უფლის სამსჯავროზე ფერმიხდილი და სნეული,
ზეცას ღრუბლად ასულიყო ცრემლი მისგან დანთხეული.
მეუფემან პახომს როცა გადახედა განზედ ერთი...
მყისვე იცნო და სამკვიდროთ განუწესა ჯოჯოხეთი,
მაგრამ ამა განაჩენმა ჰყო დამსწრენი შენაერთი
და ერთ მათგანს მოუსმინოს დაითანხმეს მასზე ღმერთი.
— ზრახვათა და აზრთა მხედო! (მოახსენებს ღმერთს მოხუცი)
ესე პახომ იმა სოფლად იყო მხეცი და ტუტუცი...
ათასობით დარჩა იქაც ხალხი მისგან განაქუცი
საქმე მისი ქრთამი იყო უსაქმობა და ღლაბუცი.
შეისმინე ჩვენი თხოვნა მოწყალეო, სათნოვ, ქველო,
ჯოჯოხეთის ნაცვლად მაგას სხვა მიუზღოთ სასასჯელო:
აი დაბლა რესპუბლიკა არის, ტურფა საქართველო,
იქ სახლი აქვთ სამინისტრო და საქმეთა სამმართველო.

ეს ამბავი მთელ სამოთხეს ელვის სისწრაფით მოეღო. ყველა ეროვნული სექცია სამოთხისა ფეხზე დადგა. უნდა მოგახსენოთ, რომ სხვა და სხვა მიწიერ და ბიწიერ მქადაგებელთა მკოხებით ხალხს სამოთხის შესახებ ერთობ უკეღმართი წარმოდგენა აქვს. ქრისტიანებს ჰქონიათ, რომ სამოთხეში მარტო მათ აქვთ ადგილი; მაჰმადიანები კი ფიქრობენ სამოთხე მათი საკუთრებაა. ასე ყველა დანარჩენი სარწმუნოების მიმდევარნი.

ნამდვილათ კი სამოთხეში ყველა ეროვნების წევრებს იღებენ, მაგრამ არა სარწმუნოების მიხედვით, არამედ პატიოსნების და სამართლიანობის. სამოთხე, ისევე როგორც ჯოჯოხეთი საერთაშორისო დაწესებულებაა და იქ უპირატესობა არც ერთ ერს არა აქვს მინიჭებული.

მამა ღმერთის დაპატიმრება, და ისიც უწყინარ ქართველთა მიერ, მთელი სამოთხის სალაპარაკო საგნათ გადაიქცა. ადგილობრივ პრესაში ათასგვარი აზრი გამოითქვა, მაგრამ გადაჭრით მაინც არავინ იცოდა მთავარი მიზეზი ქართველების მიერ მიღებულ რეპრესიებისა. თითქმის ყველა ეროვნებამ დანიშნა თავისი წარმომადგენელი იმ სამსჯავროზე დასასწრებლათ, სადაც მამა ღმერთის საქმე უნდა გარჩეულიყო.

საუცხოვო და თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენდა იმ დევი-მუხის არე-მარე, რომლის მიდამოებში თავი მოეყარა სამოთხის მრავალ რიცხოვან მოქალაქეს და რომლის ჩრდილ ქვეშ აღმართულ ტრიბუნის გარშემო ისხდენ ბრალმდებელნი, ვექილნი და ნაფიცნი მოსამართლენი. ბრალდებულიც იქვე ყვავილებით შემკულ სავარძელში იჯდა, ხოლო მთავარ-ანგელოზი გაბრიელი სავარძლის უკან იდგა.

ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იყო გამეფე-

დაეთანხმა ღმერთი მოხუცს. დააბრუნეს პახომ ძირსა.
გზ-გზა პახომ და ეშმაკმა ჯოჯოხეთის განვლეს პირსა,
დაინახეს კუპრის ცეცხლი, შიგ ცხოვრება რაზომ სჭირსა
პახომ სჭვრეტდა შეშფოთებით... არ უღებდის დანა პირსა.

ბული. მშვენიერ ჩანჩქერს, რომელიც დევიმუხის გვერდით გადმოსჩქეფდა სალი კლდის პირიდან, ეპრძანა თავისი ხმაურობა შეეჩერებია და ისიც დაწყნარდა.

დარბაისლური სიდინჯით წარმოსდგა სათაყვანებელი თავმჯდომარე საგანგებო სამსჯავროსი უკვდავი სოლომონი და ტკბილის ხმით განაცხადა:

— მოქალაქენო! საგანგებო სამსჯავროს გახსნილად ვაცხედებ. სიტყვა ეკუთვნის ბრალმდებელს.

მახცოვანი ბრალდებული სმენად გადაიქცა. მას ესწრაფებოდა გაეგო რაში სდებდენ ბრალს ქართველები, ვინაიდან მათ წინაშე თავი დამნაშავედ არაფერში არ მიაჩნდა.

უფროსი ბრალმდებელი, მაღალ-მაღალი, ახოვანი შეახნის კაცი, ინტელიგენტური შეხედულობისა ნელა წამოდგა თავის სავარძლიდან, ერთი დინჯათ ჩაახველა და გაემართა ტრიბუნისაკენ.

— აბა ვუყუროთ ერთი კიტას! ვნახოთ რას იტყვის... გაისმოდა ჩურჩული მაყურებელთა შორის.

ბრალმდებელი ავიდა ტრიბუნაზე, პირველ ყოვლისა ანკარა წყაროს წყალი მონთქა ბროლის ჭიქიდან და დაიწყო.

— მოქალაქენო! თქვენს წინაშე ზის მოხუცი, წოდებული იეგოვად. ის ერთი შეხედვით სიმპატიურ და სათნოიან პატრიარქის შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ მოგეხსენებათ, მოქალაქენო, რომ გარეგნობა ხშირათ და ხშირათ არ შეესაბამება შინაგან თვისებებს ადამიანისას. სამოთხის ქართველთა ნაციონალურ საბჭოს უტყუარი ცნობები აქვს იეგოვას მძიმე დანაშაულობათა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. ქართველი ერი, როგორც საიქიოს, ისე სააქაოს სულგრძელი და ცოდვათა მიმტევებელია, მაგრამ ყველაფრის პატიება და მით უმეტესს ისეთი დამნაშავისადმი, როგორიც თქვენს წინაშე ზის საბრალდებლო სკამზე, ყოვლად შეუძლებელია.

— მოქალაქენო! მცირე დასვენების შემდეგ განაგრძო ორატორმა, მამა ღმერთს ბრალი ედება შემდეგ სისხლის სამართლის დანაშაულობებში. გთხოვთ სიმშვიდე იქონიოთ და გულდასმით, ქართველური სიდინჯით მოისმინოთ ყოველი.

— ბატონებო! მამა ღმერთს ბრალი ედება უპირველეს ყოვლისა იმ საშიშარ მიწის ძვრის მოწყობაში, რომელმაც გაანადგურა მშვენიერი ქალაქი გორი და მის ირგვლივ მდებარე სამოციოდე მდიდარი და ყვავილოვანი სოფლები.

— სიცრუეა! ნელის, მაგრამ მტკიცე ხმით წარმოსთქვა ღმერთმა.

— ვსთხოვ ბრალდებულს სიმშვიდე დაიცოს, შენიშნა თავმჯდომარემ, როცა დრო მოვა სიტყვის ნება მოგეცემათ. ბრალმდებელო განაგრძე!

— ბატონებო! ბრალდებულმა ჩვენს სიტყვებში ეჭვი შეიტანა. ნება მისია. ახლა არ შევუდგები თითოეულ ბრალდებათა გარკვევას, ვიტყვი მხოლოდ რომ ჩვენი ცნობები ამოღებულია უმთავრესად საქართველოს მეორე საეკლესიო კრების ოქმებიდან და დასაბუთებული საპატიო მღვდელთა



ჩამოვიდენ თფილის ქალაქს! დარი დ ხვდათ ერთობ ცხელი.
მიიყვანეს პახომ სადა ქვრივი სცხოვრობს მარტოხელი
ხუთი შვილის პატრონია, ჯიბე კი აქვს მეტად ცხელი...
დააკისრეს პახომს მათზე მზრუნველობის საქმე ძნელი.
— ქმარი ომში დაეღუპა, სამშობლოსთვის დასდო თავი.
უპატრონე იმის ობლებს, იყავ მათი გამკითხავი...
„პაიოკი“ მოუხერხე, „პესნია“ და სამოსავი,
რომ ამითი გეპატიოს შენ მიგიძღვის რაცა ავი.“

მიერ, მაგრამ უმჯობესია განვაგრძოთ ბრალდებანი.

მოქალაქენო! მამა ღმერთს მეორე ბრალი ედება ჩვენი მხედრობის ღალატში. მიუხედავათ იმისა, რომ გამხეცებული ოსმალონი თავს ესხმოდენ ჩვენს პატარა ქვეყანას ბრალდებული მაინც თათრების მხარეზე გადავიდა და საქართველოს ჯარის ღალატი ჩაიდინა.

— საზიზღარი ჭორია! მრისხანეთ წარმოსთქვა მოხუცმა ბრალდებულმა.

— ჩვენ გვესმის ბრალდებულის მღელვარება, მაგრამ მოვახსენებთ მას, რომ ჩვენი ბრალდება ემყარება სრულიად საქართველოს კათალიკოსის ლეონიდეს სიტყვებს ეკლესიის საკურთხევლიდან განცხადებულს. მესამე ბრალდება, მოქალაქენო, უფრო კერძო ხასიათისაა და შეხება კახეთში ჩამოვარდნილ სეტყვას. არავისთვის საეჭვო არ არის, რომ ეს ბოროტმოქმედება ბრალდებულის მიერ ჩადენილია. ამას ამოწმებს ყველა კახელი მღვდელი, თითქმის ერთპირად.

მეოთხე ბრალდება მდგომარეობს იმ ნიაღვარის მოვლენაში, რომელმაც დაანგრია აღმოსავლეთი გურია, სადაც დღეს-დღეობით შეუძლებელია ადამიანური მოგზაურობა.

მეხუთე დანაშაული ფოთის ქარიშხალია. ბრალდებულმა არ იკმარა ის უბედურობანი, რომელნიც მისი მეოხებით თავს დაატყდა ჩვენს სამშობლოს და ქალაქ ფოთს მოუვლინა საშიშარი ქარიშხალი, რომელმაც გაანადგურა მთელი ქალაქი.

ბატონებო, ყოველივე იმას, რაც ითქვა ზემორე ამისა, დაუმატეთ გამუდმებული გვალვა იმერეთში და აგრეთვე გამუდმებული წვიმები ქართლ-კახეთში. მოქალაქენო, ჩვენი თავისუფალი სამშობლოს დაღუპვის განზრახვა აშკარათ გამოსჭვივის ბრალდებულის ყოველი მოქმედებიდან და ეს იმ დროს, როცა ქართველ ერს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის მის წინაშე.

ამით ვათავებ ჩემს პირველ სიტყვას და მოვითხოვ დამნაშავე დასჯილ იქმნას, თანახმად კანონისა, სამოთხიდან გაძევებით.

ბრალმდებელი ნელის ნაბიჯით ჩამოდის ტრიბუნიდან, ხოლო თავმჯდომარე სასამართლოისა აცხადებს:

— სიტყვა ეკუთვნის ბრალდებულს მოხუც იეგოვას.

(დასასრული იქნება)

ეშმაკი.

პახომ ფეხი კლავ დატრიალდა. ჩაიცინა კიდეც ტკბილა
აშკარაა: დავალება ემცირა და ეადვილა!
თხოვნა გრძელი გააქრელა, წამოხტა რა სისხამ დილა
სამინისტრო სახლისაკენ ვითა შლეგი გავარდნილა.

მოაგარაკის დღიური

2

თავო ჩემო, ბედი არ გიწერია!

ათასი გაჭირვებისა და დავიდარაბის შემდეგ, ძლივს ვეღირსე აბასთუმანს ჩამოსვლას. იმის მაგიერ რომ გუშინწინ შუადღისას ვყოფილიყავ აქ, ძლივს წუხელის ნაშუაღამევის მესამე საათზე მოვაღწიე მხოლოდ. ყველა ჩემს ჭაპანწყვეტას, რაც გზაში გადამხდა, შემდეგ გიამბობთ, ეხლაკი კი ნება მიბოძეთ მოგახსენოთ როგორ შემხვდა აბასთუმანი.

ხომ გახსოვთ, როგორ შეხვდა ნეაპოლი ძლევამოსილი ჯუზეპე გარიბალდის?

ნახევარ მილიონზე მეტი ხალხი 10 საათის განმავლობაში ფეხზე იდგა გარიბალდის ბინის წინ. წამ და უწუმ გამოდიოდა აივანზე სახელგანთქმული სარდალი, მაგრამ ხალხი მაინც ვერ ძღებოდა მისი ჭვრეტით. აღტაცებულ ყიჟინას და ყვირილს ბოლო არ უჩანდა, მაგრამ აი, გარიბალდის მაგიერ სხვა გამოვიდა აივანზე და გამოაცხადა: სარდალი ძლიერ დაიღალა და დასაძინებლათ დაწვაო. ეს იყო და ეს: ხმაურობა და ყვირილი თვალის დახამხამებაში შესწყდა და ეს ურიცხვი ხალხი ხმაგაკმენდილათ და ფეხაკრეფით დაიშალა. იმ დღეს ნეაპოლში ხმა მაღლა აღარავის დაულაპარაკნია და სულ შორეულ უბანშიაც კი თუ ვინმე უცაბედათ გაახმაურებდა რასმე, იქ მყოფნი აღშფოთებულის ჩურჩულით შენიშნავდნენ: ჩუმად! არ იცი, რომ სძინავსო?

მე რომ ჩაველი აბასთუმანში ერთი კაცის ჭაჭანებაც კი არსად იყო. ძლივს მივაგენი ჩემ ბინას და რის ვაივაგლახით ავიტანე ბარგიბარხანა ოთახში. ქვეშაგები რომ გავშალე და დავწექი, მეოთხე საათი იყო კიდეც. სწორედ ექვს საათზე საოცარმა ჟრიამულმა და ხმაურობამ გამომაღვიძა. ჩემი სახლის წინ ათიოდე ბავშვი შეგროვილიყო ამ დილა adრიან და ისეთი ნაირათ გაჰკიოდნენ, რომ ასი გეგონებოდათ. ფანჯარაში თავი გავყავი და ზრდილობიანათ ვთხოვე, ცოტა შორს წასულიყვნენ და იქ განეგრძოთ თამაში. ჩემი თხოვნის საპასუხოთ ჟივილ-კივილმა ერთი ორად იმატა და უფრო ახლოს გადმოინაცვლეს ბავშვებმა.

რაღა თქმა უნდა, ძილისთვის ფიქრიც მეტი იყო. იძულებული ვიყავი ორი საათის ძილით დავკმაყოფილებულიყავი და ტანთ ჩამეცვა.

რასაკვირველია, გარიბალდი ათასჯერ მეტი პატივის ცემის ღირსიც იყო, მაგრამ, ერთი თხისკენო და ერთიც მგლისკენო, იტყვიან: მეც ხომ არაფრით დამიმსახურებია ასე აბუჩათ აგდება და გაბიაბრუება!

შორეულ უბნებს ვიღა სჩივის მაგრამ აქ, ჩემ ცხვირ-წინ რომ მოსვენებას აღარ მაძლევდენ, ეს კი მეტი უდიერობა იყო!..

ამ წუთში კი აღარ ვფიქრობ ამ უსიამოვნო დახვედრისთვის. ახლა შუადღეა. აბასთუმანის კრიალა ცა და მშვენიერი მზე ყოველგვარ ნაღველსა და

მიიჩქარის პახომ მირბის.—ფიქრობს: არვინ არ მიმისწროს
პირველ ყოვლის მიაშურა იმან შრომის სამინისტროს
მაგრამ დახეთ... ის შევიდა დერეფანსა გრძელს და ვიწროს
სეირნობა გამართულა სამსახურის ჟამსა იმდროს.
ქალწულნი და ვაჟნი წყვილად მიმოდიან ნელა-ნელა,
ქუჩაში კრთის ელექტრონი, აქ კი საამურად ბნელა.
კაბინეტით გამოსული მსახურია მუნმცა ყველა,
სასიამო ტრფობის კილო და საქვეყნო ისმის ხველა.

ხინჯს ჰშლიან და ჰხოცავენ ადამიანის გულში და მეც ალტაცებით გავცქერი ნაზი ნიავით შერხეულ ფიჭვებსა და ალვის ხეების კენწეროებს, ხარბათ ვყნოსავ სურნელოვან საკმეველით შეზავებულ ჰაერს და წყევა კრულვით ვიგონებ თბილისის გავარვარებულ მზეს, რომელსაც, ასე მგონია, ოშხივარი ასდისო, მტვერითა და პაპანაქება სიცხით გაელენთილ ჰაერს და ილაჯ გაწყვეტილსა და მოდუნებულს თბილელებს.

საზარელ საზმარსავით მაგონდება ჩემი იქ ყოფნა, აქ წამოსასვლელად მზადება და შემდეგ გზა, გაუთავებელი, ულმობელი გზა. და არ ვიცი, რომელია უარესი, უფრო მეტი ტანჯვა-წვალების მომგვრელი, **ეკლიანი** თუ **ოფლიანი** გზა?

თაგუნა.

დაიკარგა

ქართულ კლუბში სეირნობის დროს კარგა ხნის გაკნობილი „ბარიშნა“ შემდეგის ნიშნებით: ჩასუქებული, საშვალო ტანისა, ტანზე თეთრი კაბა მარკიზეტისა, ფეხზე თეთრი ჩულქები ფილთიკოსისა, წითელი „პოდვიასკებით“ რეზინისა, თეთრი ტუფლები ხუთ ვერშოკიან ქუსლებითა, თმა, გაკრეჭილი გრეგუარისა, ფჩხილები მოქნილი და ხელოვნურად დაფერილი, მკლავები, გულ-მკერდი და ზურგის ნახევარი ტერიტორია მთლად შიშველი, შავი თვალები, შავი წარბები და აგრეთვე წამწამები, სახეზე ორი გირვანქა პუდრი, ტუჩებზე რამდენიმე მისხალი წითელი საღებავი, თეთრი კბილები, ყურები გახვრეტილი, შიგ ოქროს რგოლები. მარცხენა ხელზე ბეჭედი, მარჯვენა ხელში თეთრი ტილოს „რედიკული“ შიგ ორი კოლოფი: ერთი პუდრისა მეორე ტუჩების საღებავისა, წარბების ჩოთქი, სარკე, ზამშის პატარა ნაჭერი ფჩხილების გასაწმენდათ, ხუთი საიდუმლო მოწერილი წერილი სხვა და სხვა პირებისგან, ოთხი პროზად, ერთი—ლექსად—გრიშაშვილისა, ხუთი მისამართი ქართველ ოფიცრებისა—ერთი მათგანი გვარდიის „კონიდივიზიისა“, ერთი პატარა ფანქარი, დუჟინი ქაღალდ-კონვერტი საიდუმლო წერილებისა, სამი ფოტოგრაფიული სურათი, **ერთი ჩემი**, ერთი ქართველ მსახიობისა და ერთიც სპეკულიანტ სტუდენტისა, სხვის სახელზე აღებული უფასო რკინის გზის ბილეთი ბორჯომისა, აგრეთვე ბილეთი ქა-

დიდის ტანჯვით და ვაებით განვლო პახომ „კორიდორი“
შრომის სამინისტროს წინა კაცი დახვდა არ თუ ორი
ზოგთა ძილი მორეოდათ (არ გეგონოთ ესე ჭორი),
გაიკითხა პახომ: უთხრეს: შესვლაათ დიდი ზორი!

რთული კლუბისა და სახელმწიფო თეატრისა, ერთი ათ თუმნიანი ნიკოლოზისა, ერთიც კავკასიის კომისარიატისა, ერთი ყალბი აბაზიანი (მგონი ავლაბრისა). პირადობის მოწმობა მესამე უბნის კომისარისა, კურსის დიპლომი ინაჩენცის ზალისა, მპოვნელს ვსთხოვ ჩემი სურათი დამიბრუნოს და დანარჩენი ბარიშნიანა თითონ დაიტოვოს.

რ. ჯიბილ.

Тамъ можно...

რომ მეცნიერება კარგათ შემესწავლა და ცხოვრებას მომზადებული შევხვედროდი, განსაკუთრებულ ხერხს მივმართე: გიმნაზიის ყოველ კლასში ორ-ორი წელიწადი დავყავი. თუმცა ახლა თავის ქება მეტათ ძვირათ ღირს (რადგან კიტრი გაძვირდა) მაგრამ მაინც თავის ქებით არ ვიტყვი და საკმაოთ მომზადებულათ ვთვლიდი თავს, როცა გიმნაზია გავათავე.

— ცხოვრება მეტათ ფლიდია—ვფიქრობდი მე და თან სტუდენტის ლურჯ ქუდს ვიზომებდი თავზე,—მაგრამ რა საკითხი უნდა წამომიყენოს, რომ თვალის დახამხამებაში ვერ გადავსჭრა!

იმედები არ გამიმართლდა! ცხოვრებაში პირველ ნაბიჯის გადადგმისთანავე ისეთი საკითხი წამომეჭიმა თვალწინ, (როგორც „გოროდოვოის“ მუშტი რუს ინტელიგენტის ცხვირ წინ) რომ მაშინდელი გაკვირვებისაგან დაღებული პირი ჯერაც არ დამიმუწავს.

სულ ერთი თვე იქნება რაც ჯარისკაცობას მოვრჩი გიმნაზიის გათავების შემდეგ და გავეშურე ბათუმში სამსახურის საშოვნელათ. მალე სამსახურიც ვიშოვნე. საკმაო დიდი ჯამაგირი და ოთახი. სრულათ დაკმაყოფილებულათ ვთვლიდი თავს და საზოგადო მოღვაწეობისათვის ვემზადებოდი. ერთ დღეს ძველ ნაცნობებს წავაწყდი. მაშინვე ერთმანეთის ამბავი ვიკითხეთ.

— ,,როგორ ხარ? იშოვნე სამსახური?‘‘

— უნდა გითხრა მართალი, ძმაო, რომ საუცხოვო სამსახური ვიშოვე და საუცხოვოთაც მოვეწყე.

სადა?

მე დავუსახელე.

ჩემს მეგობრებს სასაცილოთაც არ ეყო.

— მე მეგონა დამოჟნაში იშოვე ადგილი! დაცინვითი მითხრა პავლემ, თევდორის ძემ.

— კაცო, დამოჟნა რავა შეედრება ჩემს სამსახურს. ჯამაგირი ორჯერ მეტი, ოთახი განათებით...

— გეტყობა, ძმაო, ჯერ მომზადებული არ ხარ ცხოვრებისათვის. ჯამაგირი შვიდჯერ მეტი რო აილო რას გიზამს. ეჰ! დამოჟნისთანა ადგილი მეორე არაა. კამისრობაც-კი ვერ შეედრება.

— არაფერი არ მესმის!

— შენ ჯერ გაიგე საიდან წამოდგა სიტყვა ТАМОЖНЯ და შემდეგ მიხვდები!..

ამის შემდეგ მოსვენება აღარ ვიცი გადატანა კაცო თორმეტი წლის მაგიერ 24 დავყავი გიმნაზიაში



ქალი ორი მოსეირნე პახომ ტანჯკით დაიხელა,
უთხრა:—„ვარდო მაისისავ, ქვრივ ობოლია მინდა შველა,
მარქვი, მინისტრს როგორ ვნახავ, პირბადრო და ბროლის ყელა,
დერეფანში სიარულმა ლამის მომკლა, მომინელა.“
„ვარდთა“ ცხკირი აიბზუეს და პასუხი არცა ჰკადრეს.
„ინტერესნი“ არა სჩანსო, თავი არცა გაუყადრეს
ვაჟსა კედლად ანატუზავს შუქი მთვარედ მიაბადრეს
გული მისი განანათლეს; პახომს გული დაუღადრეს.

და ნუ თუ ეს აღარ ვიცი რატომ სჯობს სხვა სამსახურს დამოჟნაში სამსახური, როცა სხვაგან ორჯერ მეტ ჯამაგირიან ადგილს შოულობ.

სულ გადავატრიალე ლექსიკონი, ასე წარმოიდგინე ი. იმედაშვილის ლექსიკონსაც კი მივმართე, მაგრამ ვერსად ვერ გავიგე საიდან წარმოდგა სიტყვა таможня.

გუშინ ქელბაქიანმა ჩამრჩურჩულა:

— таможня წარმოსდგა ორი სიტყვიდან და მრავალწერტილიდან тамъ можно...

ბ. ქელბაქიანი მართალია დამოჟნაში ძალიან მიღებულია და გამოცთილიც არის იქაურ საქმეებში, მაგრამ ჩემთვის საკმაო ავტორიტეტი ვერ გამოდგება.

მე ისევ ბ. ვუკოლ ბერიძეს ვთხოვ ამიხსნას: მართლა „тамъ можно“-დან წარმოსდგა таможня თუ არა. როცა ბ. ვუკოლი ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელი იყო და მე მისი მოსწავლე, ყველა სიტყვები აგვიხსნა და რაღა ეს გაავიწყდა ჩემდა საწვალებლათ,

გრ. სლუჩაინი.

რეა-ბგელი.

— ახალი ამბავი გეცოდინება, გვიამბე რამე— ეუბნება გარს შ მოხვეული გლეხები—თფილისიდან ახლად ჩამოსულს.

— ახალი ამბავი ამხანაგებო ძალიან ბევრია და თან საინტერესოც. მაგალითათ ბათუმის გადმოცემა და მისი დღესასწაული.

— არა ჩვენ რუსეთზე გვაინტერესებს რამე, როგორაა იქ საქმე თვარა აქ, საქართველოში ჩვენც ვხედავთ ჩვენი მთავრობის საქმიანობას.

— ხო რუსეთზე, შვილო, რუსეთზე. აბა აქ ხომ საკუთარი თვალითა ვხედავთ ყოველივეს—წარმოსთქვა მოხუცებულმა, რომელსაც ყოველივე მისთვის გაუგებარ სიტყვის თავისებური გადათარგმნა უყვარდა.

— რუსეთის ამბები ა-ბო საერთოდ ასეთია, შიმშილობს ხალხი. ტანს არ აცვია, სიძვირე მეტის მეტი, სამოქალაქო ომი, დაუსრულებელი სისხლის ღვრა.

— კი მარა ნუთუ რუსეთში არ იყო ისეთი ჭკვიანი ხალხი როგორც აი ჩვენში ზემოკრანტები და ობერაიცებია რომ დაემყარებიათ წესრიგი?— გაკვირვებით კითხულობს მოხუცი.

— როგორ არა არიან, დემოკრატებიც და ფედერალისტებიც. მაგრამ მაგენს იჭერენ ბოლშევიკები და ციხეებში გზავნიან.

გამობრუნდა პახომ მუნით, დიაცთაგან განაწბილი.
და კასისკენ გაემართა; ვაჟი ნახა თავ შეჩრილი;
კასირშასთან საუბარი გაემართა ერ ობ ტკბილი,
იდგა პახომ მოლოდინში მწუხარე და ფერ მიხდილი.

— ვისთან ჩხუბობს ახლა ბოლშევიკები?

— ·ოლონეთთან!

-- პოლონეთი ეგ რა კაცია? ალბათ ძველი გენერალი იქნება!

— არა ბესოია, პოლონეთი სახელმწიფოა როგორც ჩვენი საქართველო-

— ახლა დენიკინი აღარ ჩხუბობს ხომ?

— დენიკინი გაიქცა ევროპაში დაამარცხეს ბოლშევიკაბმა, რადგან მას ნიკოიას მთავრობა უნდოდა გლეხებმა აღარ დაუჭირეს მხარი. თუ არა ისე ბოლშევიკები ვერაფერს დააკლებდენ, დენიკინს.

— როგორ განა გლეხებს ამდენი ძალა აქვთ?

— ჰაი ჰაი რომ აქვთ. საქართველოში რომ თქვენ არ უჭერდეთ მხარს მთავრობას ის ერთ დღესაც ვერ იარსებებს. მოხუცებულს სახე გაუბრწყინდა.

— ვენაცვალე ჩვენს მთავრობას, თუ ჩვენზეა სიკმე თავსაც შევსწირავთ, მისთვის, მაშ ახლა რუსეთში ნიკოიას სასარგებლოთ არავინ ჩხუბობს?!

— როგორ არა, ნიკოიას რუსეთში ბევრი ყავს მომხრე, ყველა ეჩხუბება ერთმანეთს აი მაგალითად, გუჩკოვი, როძიანკო, პეტლიურა, მახნო, გენერალი ვრანგელი რომელიც შეტევას აწარმოებს ბოლშევიკებთან, ვრანგელმა ჯერ-ჯერობით შესძლო გლეხების დაშოშმინება, დაპირდა მიწას, თავისუფლებას, მაგრამ საეჭვოა რომ მან ეს შეასრულოს.

— რვა მგელი!—გაიმეორა მოხუცმა—არა შვილო თუ რუსეთის გლეხს ბოლშევიკმა არა მისცა ვერც დენიკინმა დააკმაყოფილა, ეს **რვა მგელი** მთლათ მიწასთან გაასწორებს. მოხუცის სიტყვებმა საერთო სიცილი გამოიწვია.

— თქვენ იცინით და მე კი მითქვამს და გახსოვდეთ ის რვა მგელი შეჭამს რუსეთს—ვენაცვალე ჩვენს მთავრობას. მათი შემწეობით არც ბოლშევიკის გვეშინია, არც დენიკინის და არც იმ რუსის რვა-მგელს შემოასუნებიებს ჩვენს ქვეყანაში

თუმცა გვარი ვრანგელი მოხუცმა თავის გემოზე გადათარგმნა, მაგრამ ჩემის აზრით დედანთან ძალიან ახლოს სდგას: ვრანგელი— რვამგელი.

მახლას!!. **გ. ბომბოთელი**

შესაგვარი [1]

(შხანკოლას)

მოკითხვა და ნახვის ნატვრა
ძველ „მეგობარ“ს, ჩემ შხანკოლას.
(სოლომონ [2]) თქვა „მტერი სჯობსო
ხეპრე მეგობარის ყოლას“)

გეხსომება პირადათ რომ
შენი ნახვა განვიძრახე
სად ხარ კაცო! ამდენ-ხანში
ვერსად შეგვხდი, ველარ გნახე?

[1]) შესაგვარი ძლვენი განსაკუთრებით შვილ შენაძენ მელოგინე ქალისთვის

[2]) სოლომონ ზურგიელიძე



სიყვარულის მუსაიფი გრძელია და საამური,
პახომ შედის კაბინეტში, გულს უღონებს ბედკრულს შური
თითო სტოლზე თითო ფუთი, ვითა ძეგლი, უძევთ პური
— სთქვა—ნეტავი ქვრივისათვის მომცა მსგავსი სამსახური:
სტოლი სტოლსა ეკიდების ურიცხვი და უთვალავი
სტოლის გვერდით არვინ მოსჩანს; მხოლოდ ერთსა თავქვეშ კლავი
დაუდვია, გაწოლილა და ნებივრობს ვითა ღლავი
ღრმა მორევის ძირზე ტკბილათ შლამში ცხვირით წანაფლავი.

თუმცა ძაღლმა იშვიათად
რომ დახიოს ძაღლის ტყავი,
მარა შენთან „საჭოჭმანო"
საქმე მქონდა საკითხავი.

ამ მიზეზით გეგზავნება
საშინოო ეგ უსტარი
გთხოვ პასუხის გაცემაზე
ტაქტიკურად არ სთქვა ვარი.

იქნებ რამე გაგვგება
„ხათაბალა" ვინ შემყარა?
ჩემდა „ძღვნად" რომ ამ ჟურნალში
მელანი და ოფლი ღვარა?

მოიწერე ვინაობა
ჟურნალისტი „ხიცი-ხიცი"-ს
„თუ შენ არა", ამ ქვეყანას
იგი მეტმა არვინ იცის.

ის არ იყოს: ფერშალი და
პროვიზორი რომ წაჰკიდა,
და ერთ მათგანს სინდისი და
კალმის წვერიც რომ მიჰყიდა?

ახლოს მოდექ საიდუმლო
რამე მინდა გითხრა ყურში,
კასიდან რომ „ხარი გაძვრა"
იქ თუ იყო სამსახურში?

ბანკის ვალში გადახდილი
(ათი იყო ის თუ ასი)
საჩივარად, რომ გაუხდა
ლუკა სირაჯს ხარის ფასი.

ამ ფულების „ალმოჩენის"
გამგეობამ მისცა ვადა,
მარა მაინც საქვეყნოდ და
საგაზეთოდ, რომ გახადა,

მის აშკარა ბრალდებაზე
პასუხიც რომ ვეღარ გასცა,
და ის ვითა პიროვნება
ამ შემთხვევამ დაბლა დასცა.

ან ის თუა, საზიარო
ტივის ფასი რომ „მოჰპარეს"
და მუშებმა ამ ფულებზე
სააღდგომო ცრემლი ღვარეს?

მტყუანმა, რომ მართალს სთხოვა
პასუხი და ხატზე ფიცი
გეკითხებ·, იმ დროს იქა
ხომ არ იყო „ხიცი-ხიცი"?

თუ ამ გვარი საქციელი
„მწერლობაშიც" გადიტანა

პახომ უკუ გამობრუნდა, კარი მაგრათ გაიხურა
— სთქვა რასა ჰგავს ყოფა ჩემი, გული მიცემს ვითა ქურა
მომარაგე მინისტრს ვნახავ... მისდგა, ნახა შვიდი თუ რვა
კაცი ძილად მიყრილიყო, ქათამი რა დაეპურა.

ჩვენ „მხილებას“ რომ კისრულობს
შევარჩინოთ იმას განა!

ვინც ამ გვარი ჯამბაზობის
საფეხური სრულად განვლოს
მან ზნეობის ქადაგება
ფირმანი აქვს ჩვენ გვასწავლოს?

ვინც ამ გვარად ჩემზე „შრომობს“
მითხარ როგორ „ვემსახურო“
(ცრუ მებრძოლი ცოლთან ომობს
დედას ჯიჯგნის ბლახა კურო)

შხანკოლაჯან! სხვაგან ეძებნო
თუ შენს პასუხს დავაყურო

ბუტუნა.

სიდუეტი.

ბრიყვი ვარ. ბრიყვი საბას თქმით უსაქციელოსა ჰქვიან. დიახ, უსაქციელო ვარ იმიტომ, რომ ისე გავიზარდე, დაბადებიდამ კარგი საქციელის ხალხი თვალითაც არ მინახავს. საქციელს ადამიანი ეჩვევა და სწავლობს პატარობიდამ. მე კი არც შევჩვეევარ და არც მისწავლია. მაგრამ ბრიყვობას ჩემსას არად ვაგდებ და ისე ვთვალთმაქცობ, რომ ვფარავ ამ ბრიყვობას ჩემის მოხერხებით. მოხერხება კი ასეთი მაქვს. საქმითაც და სიტყვითაც ხალხის წინაშე მე არად ვაგდებ ზრდილობასა და საქციელს, გავიძახი, რომ მე მეცნიერი ვარ და არც ზრდილობისა და არც საქციელისათვის არა მცალიან მეთქი. ზოგჯერ და ვიეთნიმესთან ეს გამიდის კიდეც. ვიეთნიმეს მართლაც მეცნიერ ვგონივარი. რასაკვირველია, ისეთებს, რომელთაც მეცნიერების სუნიც არ სცემიათ, რომელნიც მეცნიერებასთან მწყრალად არიან. ხოლო ვისაც მეცნიერების რამ გემო უგემნია მაინც, იმას არა სჯერა ჩემი მეცნიერებისა. თუნდა ისინიც ყოყმანობენ და გაბედულად ვერას ამბობენ ცოტა გამონაკლისის გარდა. ეს ხდება იმიტომ, რომ მე მართლაც რამოდენმეჯერ პირი ვჰქენი მეცნიერებსაკენ, ევროპაც მოვიარე და ვიცხოვრე კიდეც რამოდენიმე ხანი იქ. ხოლო ისე არა მომცხებიარა ევროპიელი მეცნიერების, როგორადაც ჩინური ანაბანისა. ჩემს გულში ხომ კარგად ჩახედული ვარ და პირადად კარგადაც ვიცი, თუ რა შვილიცა ვარ, მაგრამ ტუტუცი ხომ არა ვარ სხვას გავუზიარო ჩემი აზრი და ჩემს ბრიყობას თვითონ დასტური დავსცე. გაგონილა? ვის უთქვამს დედაჩემი კუდიანიაო? არავისაც. მაშ მე გიჟი ხომ არა ვარ!

ზრდილობით, საქციელითა და სწავლით თუ სუსტი ვარ, სამაგიეროდ თვალთ მაქცობით, ლაქუცობით, პირმოთნეობითა და დაბეზღებით ხომ ძლიერი გარდა ძლიერი რომელია რომ წინ დამდგომოდეს და უფროსებისათვის ყურში ჩაჩურჩულებითა და დაბე-



შიგნივ პურებს არიგებდენ წონიათა, თუ უწონელად
თვით მინისტრი მარაგისა ვინ მრგვალათ სჩ.ნს, არა გრძელათ
კახეთისკენ წასულიყო მინდვრის თაგვთან საბრძოლველათ
(ამ სამსახურს როგორც ვ-ცით კატებს აკისრებდენ ძველათ.)

ზღვებით წელი არ მომ ეწყვეტოს და თავიც არ გამეტეხოს? არც ერთი. დიახ, არც ერთი. ერთი იყოდა ფეხქვეშ დავეგე, ფახთა მტვრად ვექეც და მონად გავუხდი. მისი სურვილი ჩემს მოვალეობად ვაქციე, მის ნებას ჩემი ნება დავუმორჩილე და ჩემი პიროვნება მის წინაშე გავნართხე. ამსწია და ამამაღლა. ქვეყანაში პირველ კაცად გამომიყვანა და სახელიც მომიხვეჭა. ეს იყო და ეს. ქურდს რა უნდა, ბნელი ღამე-,—ნათქვამია. მეც ეს მინდოდა. ეხლა შევადგი ზურგზე კეხი და შე-ჯეკ ამ საცოდავ კაცს. საცა მ-ნდოდა, იქითკენ მივაქანებდი და კიდეც კისერი მოვტეხე. უფროსობაც მე დამრჩა და ბურთი და მაედანიც. ჩავსწიხლე და ჩავქოლე, ჩავჭკარ და ჩავამარცხე, ბურთიც ლელოზე გადვისროლე. შ ნ ჯერ ყმაწვილი ხარ და ეს ადგილი არ გერგებაო. აიღეს და მის ალაგას სხვა ჩასვეს. ეხლა ამას მოვსდექ და შეკაზმვა დავუპირე. ეს თვით ყმაწვილი იყო ჩემზე. სულ ტლინკები აჭყარ-დაჭყარა, როგორ თუ მაგისთანაებს მიბედავო. ხან იქიდამ მოუარე, ხან აქედამ. არაფერი გამივიდა. ავიღე და დავაბეზღე: ასეთია, გამოუსადეგარია; მისულია, მოსულია, სრულად გამოუცდელია მეთქი. ჯერ არა გამიდიოდარა მაგრამ გამოცდილებით ვიცი, რომ წვეთ წვეთობით ქვაც კი იხვრიტება. მეც დღეს ჩავაწვეთე, ხვალ, ზეგ, ვიდრე არ გავუხვრიტე, ვისაც ესაჭიროებოდა, დაფის აპკი. გავიმარჯვე. მაგრამ ეს გამარჯვება დამარცხებად დამიჯდა იმიტომ, რომ უარესი დღე დამიდგა. თაგვმა თხარა-თხარაო, კატა გამოთხარაო. მეც კატას წავაწყდი და თუნდა თვ-თ ვირთაგვა ვარ, მაინც კატას ვერას ვუხერხებ. ჰეი გიდი, სადა ხარ ძაღლის კბილებო, ან ვეფხვის კლანჭებო, რომ კისერი მოვუგრიხო ამ ჩემს ნოწინააღმდეგეს? არა, სხვა რამ უნდა ვიღონო. ევრიკა! აი, ღონეც: წავალ, ვეტყვი ბატონს, რომ კატა თვით თხრის ძირს მეთქ-. აჰა, მივდივარ. მაშ, გამაგრდი, ვისაც გამაგრება გჭირია.

გასჭრა! ბატონი ძლიერ ჩაფიქრდა. ამ საქმეს ეხლავე მოვლა სჭირიაო. ისიმც კარგი მოგეცესთ! მოუვლის კიდეც ბატონი... ეჰ! ვერას გავხდი: კატა ჩემს ბატონს ხელიდამ გაუსხლტება... ასე ვიფლი, ვიდრე სულ ზ ვით არ ამოვტივტივდები, თუ გზაში კისერი არ მომტყდა. „Ой, перекинусь! А може и не!“*)

ფონ-დერ-ვირენ.

*) ერთი უკრაინელი ურმით მიდიოდა გზა მთის ფერდობზე იყო. შეშინდა, ურემი გადაბრუნდებოდა გაიძახოდა „ой перекинусь, а може и не“—ო, სანამ ურემი არ გადაბრუნდა და როცა გადაბრუნდა და პირქვე დაეცა, ნუგეშობდა: „казавъ, що перекинусь, такъ, и перекинувся.“

პახომს გული შეუწუხდა კვლავ დერეფანს მიაშურა ჰხედავს კაცი „ჩინოვნიკი“ ოთხი იყო, შვიდი, ოუ რვა ლაღად ბჭობენ დერეფანში, არ აწუხებთ არცა ურვა პახომს, (გულში) ჯოჯოხეთად დაბრუნება მოესურვა!

ქ. ზესტაფონი (შორაპნის მაზრა).

შორაპნის სამაზრო ერობამ თავის მუნიციპალურ მოღვაწეობაში ფართო ასპარეზი მისცა მაზრაში ხელოვნების აყვავების საქმეს. ამ მიზნით მან (გამგეობამ) მოიწვია ხელოვნების ინსტრუქტორათ იტალიაში კურს დამთავრებული და ამხანათ ს მშობლოში დაბრუნებული, გამოჩენილი კომიკ-დრამატურგი — ვ. ურუშაძე.

ეს უკანასკნელი, შეუდგა რა თავის მოვალეობის ასრულებას, დიდ ყურადღებას აქცევს ხელოვნების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას. ბ. ურუშაძეს გამოუმუშავებია მთელი რიგი სახელმძღვანელო დებულებებისა. დაუსახავთ რა მიზნათ, რომ თეატრი-ხელოვნება თავის-ფალი უნდა იყვეს ყოველნაირ ზეგავლენისიგან, რომ იგი თავისუფლათ უნდა შლიდეს თავის მაცოცხლებელ ფრთებს, იგი (ინსტრუქტორი) სრულ თავისუფლებას ანიჭებს ყველა მათ, ვინც განიზრახავს რაიმე წარმოდგენის გამართვას: ვისაც რა უნდა ის დადგას, როგორც უნდა ისე ითამაშოს, ვისაც უნდა ის გამოვიდეს სცენაზე, სულ ერთია რა მიზნისთვის იმართება წარმოდგენა, ნებართვას იმ წამსვე მიიღებ, როგორც კი მისცემ 2000-3000 მანეთს. ამბობენ, რომ ასეთი ძოღვაწის წარმევა განუზრახავს ქუთაისის სამაზრო ერობას მაგრამ, როგორც სარწმუნოთ გავიგეთ, შორაპნის ერობა ასე ადვილათ არ დასთმობს. ჯერ-ჯერობით სწარმოებს მოლაპარაკება ამ ორ ერობათა შორის. ჩვენ გვგონია, რომ საბოლოოთ მოხდება შეთანხმება კომპრომისით: დარჩეს დროებით, სანამ შორაპნის მაზრა გააერთიანებდეს (რაც ძლიერ ადვილი საქმეა-ეს მოხდება ორ თვეში), შემდეგ კი დაეთმოს ქუთაისის ერობას.

შორანის მაზრის სამღვდელოება დიდ საგონებელშია ჩავარდნილი. ხსნიდა რა ყოველნაირ უბედურებას (გვალვას, ომს, სიძვირეს) მით, რომ ხალხს ღვთის სამსახური დაავიწყდა და უთითებდა რა ამ შეცდომის გასწორებაზე, რაც დაახლოვებით უკვე შეასრულა სოფლის გლეხ-კაცობამ პარასკევის გაუქმებით, კვირა-უქმე დღეებში ეკლესიაში სიარულით, „სამღვთოების“ გადახდით და სხვა, როდესაც ამ ზომებმაც ვერ უშველა და გვალვა-სიძვირე უფრო გადიდდა, სამღვდელოება გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა.

ამბობენ სამღვდელოება ჩუმ არალეგალურ კრებებს მართავს მაზრაში, ახალი ჭორის გამოსაგონებლათ, მაგრამ ამასაც უშედეგოთ ჩაუვლია.

დაბოლოს ერთში შეთანხმებულან: მიმართონ საგანგებო დელეგაციის საშვალებით ყოვლად მორწმუნე ლეონიდს, რათა ამ უკანასკნელმა აჩვენოს მათ გზა ჩიხიდან ამოსასვლელი. დელეგაციაში არჩეული ყოფილან: მღ. ქსენაფონტე ღამბაშიძე და მღ. მაქსიმე ჭუმბაძე.

პროლეტარი.

სთქვა პახუმმა თავის გულში:—„აქ საქმე სჩანს წასაგები,
რათ გამგზავნა ღმერთმა დაბლა ახლა გახდა გასაგები,
განათლების სამინისტროს ვნახავ გავხდე რას ეგები“
შევიდა და გაცაჰკვირდა ნახა მათი ამაგები.
მუნ ნაყივნი დაემზადათ სიცხე იყო ვითა დიდი.
მითი გულსა იგრილებდენ, მთხოვნელთა არ ჰქონდათ რიდი
სდგა პახომი შორი ახლო, მსახურთაგან განარიდი
არც ნაყივნი შესთავაზეს, არცა უთხრეს: გარე მიდი.



ელოდა და ლოდინისგან ოდეს გული შეუღონა
პახომ გარე გამოვიდა, გულს სევდა არ მოეფონა
დღე გავიდა სამსახურის, მან კი საქმე დარამის წონა!
ვერავერი გააკეთა, ვერაფერი ვერ იღონა.
შეიჭრიტა კაბინეტში, იქ კვლავ სტოლი, სტოლზე პური,
ერთი სული არვინ მოსჩანს, ვის ეკისროს სამსახური.
სტოლი, სტოლი, სტოლი, სტოლი, ქუდი ქალთა დასახური
სხვა არრა სჩანს ოთახებში მომუშავეთ ნასახური.
(დასასრული იქნება)

სახელმწიფო სტამბა